ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4598667

ნომერი: AR1695551

თარიღი : 18.07.2019

გაცემის თარიღი : 22.07.2019

გაცნობის თარიღი : 30.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცისკრის , N 6 , შესახვევი ცისკრის N4, ქუჩა გურჯაანი N1 , (ნაკვეთი N46/5);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 იანვრის №4324572 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019

წლის 18 ივლისს №AR1695551 განაცხადით მომართა ქეთევან ფანცულაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 04 იანვრის №4324572 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 04 იანვრის №4324572 ბრძანებით ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), ცისკრის ქ. N6, ცისკრის შესახვევი N4, გურჯაანის ქ. N1-შ (ნაკვეთი N46/5) შ.პ.ს. „ავლაბარი ნოვ“-ის საკუთრების მიწის ნაკვეთზე 2018 წლის 03 მაისის №3944784 ბრძანებით შეთანხმებული სასტუმროს არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 06 იანვრიდან 2021 წლის 06 ივლისის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ავლაბარი ნოვ“ (406260727).
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2019 წლის 04 იანვრის №4324572 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად შპს „ავლაბარი ნოვ“-ის (406260727) ნაცვლად შპს „ავლაბარი სიტი“-ის (406284024) დაფიქსირება.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადების რეგისტრაცია – №882019580104, მომზადების თარიღი: 18/07/2019 14:43:18) თანახმად, N01.17.01.046.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „ავლაბარი სიტი“-ის (406284024) საკუთრებას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B19066971, მომზადების თარიღი: 26/06/2019 17:06:23), შპს „ავლაბარი სიტი“-ის (406284024) დირექტორს წარმოადგენს რანა ბაბაევი (პ/ნ 28001010770). სამსახურში წარმოდგენილია რანა ბაბაევის მიერ, განმცხადებლის სახელზე გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული, უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N190853247, რეგისტრაციის თარიღი: 19.07.2019 წ.).
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღეისათვის, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „ავლაბარი სიტი“-ის (406284024) საკუთრებას, რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „ავლაბარი სიტი“-ის (406284024) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57–ე დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 იანვრის №4324572 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „ავლაბარი ნოვ“-ის (406260727) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ავლაბარი სიტი“-ის (406284024).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 იანვრის №4324572 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 იანვრის №4324572 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.